საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/117 " 4 " აგვისტო 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე მ. ჩინჩალაძის საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლედ გამწესების შესახებ

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე მიხეილ ჩინჩალაძემ 2020 წლის 31 ივლისს განცხადებით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გადაყვანა. საგამოძიებო კოლეგიაში მოსამართლის 7 საშტატო ერთეულია, აქედან 1 საშტატო ერთეულზე გამოცხადებულია კონკურსი, 1 საშტატო ერთეული ვაკანტურია, ხოლო 1 საშტატო ერთეული ვაკანტური გახდება 5 აგვისტოდან, ვინაიდან მითითებული თარიღიდან აღნიშნული კოლეგიის მოსამართლე დაინიშნა სხვა სასამართლოში. საგამოძიებო კოლეგიაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია კოლეგიის შემადგენლობის გაზრდა. მიხეილ ჩინჩალაძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება, მათ შორის 10 წელი იგი იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. მას აქვს მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილებაც, კერძოდ იგი იყო საქართველოს უზენასი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარე და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარე, ხოლო 2017 წლიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე მიხეილ ჩინჩალაძე გამწესდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლედ, 2020 წლის 5 აგვისტოდან.

გიორგი მიქაუტაძე
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი